აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

სამოქალაქო ორგანიზაციების მიმართვა საქართველოს მთავრობას

1994 წელს საქართველო ოფიციალურად შეუერთდა გაეროს საერთაშორისო პაქტს „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“, რომელიც ავალდებულებს სახელმწიფოს აღმოფხვრას შიმშილი და უზრუნველყოს მოქალაქეების წვდომა მათი ნუტრიციული მოთხოვნების შესაბამის სურსათზე.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) განმარტებით, „სასურსათო უსაფრთხოება“ გულისხმობს ყველა ადამიანის მუდმივ ფიზიკურ და ეკონომიკურ მისაწვდომობას საკმარის, უვნებელ და მრავალფეროვან სურსათთან, რაც აუცილებელია მათი აქტიური და ჯანმრთელი ცხოვრებისათვის. შესაბამისად სასურსათო უსაფრთხოების დასაყრდენია ოთხი ძირითადი მიმართულება:

1. სურსათის არსებობა - ა) განვითარებული ადგილობრივი წარმოება; ბ) ბაზრის, მათ შორის იმპორტის, ეფექტური რეგულაციები;
2. სურსათის მისაწვდომობა - ა) *ფიზიკური მისაწვდომობა*, როგორიცაა სურსათის დისტრიბუციის ჯაჭვის განვითარება (მაგ., დაშორებულ, მაღალმთიან დასახლებებში ან კონფლიქტურ ზონებში); ბ) *ეკონომიკური მისაწვდომობა*, რომელიც გულისხმობს მოსახლეობის კეთილდღეობას, სოციალური დაცვის სისტემის გამართულ მუშაობას;
3. სურსათის მოხმარება - მოსახლეობის მიერ ყოველდღიურად უვნებელი, ჯანმრთელობისათვის აუცილებელი, მრავალფეროვანი სურსათის მოხმარება, რაც გულისხმობს მოსახლეობის ცნობიერების შესაბამის დონეს და სურსათის უვნებლობის სისტემის გამართულ მუშაობას, ასევე სურსათის გადაყრის მაქსიმალურ შემცირებას;
4. სურსათით უზრუნველყოფის სტაბილურობა - ქვეყნის ისეთი მდგომარეობა, როდესაც კონკრეტული ძირითადი პროდუქტების დეფიციტი და/ან სურსათზე ფასების მერყეობა ეფექტურად იმართება გარემოსა და ბაზრის მონიტორინგის, ბუნებრივი კატასტროფებისა და კრიზისული სიტუაციების მართვის, მათ შორის ადრეული შეტყობინების სისტემის ეფექტური მუშაობის, სასურსათო მარაგების ან/და ფისკალური ინსტრუმენტების მეშვეობით.

ამდენად, სასურსათო უსაფრთხოება სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ამავე დროს **სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა მოითხოვს ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვის, სოციალური დაცვისა და განათლების სისტემების ურთიერთკოორდინაციას.**

უახლესი კვლევებით[1], ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 70% სურსათის უკმარისობას განიცდის და, შიშობს, რომ მომავალში ეს მდგომარეობა შეიძლება კიდეც გაუარესდეს. ამავე დროს, საქართველოს მოსახლეობა შემოსავლების საშუალოდ 50%-ს ხარჯავს სურსათზე და მცირე შემოსავლების გამო, მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის ხელმისაწვდომი არ არის ადგილობრივი, მრავალფეროვანი და საღი პროდუქტი. შედეგად, ჩვენს ქვეყანაში, განსაკუთრებით კი მის მცირემოსავლიან ფენებში, შეინიშნება ბავშვებთა ზრდის შეფერხება, იოდისა და რკინის დეფიციტი, ჭარბწონიანობა და სხვა არაგადამდები დაავადებები.

ამ ფონზე საქართველოს სახელმწიფოს დღემდე არ მიუღია სასურსათო უსაფრთხოებისა და ნუტრიციის სტრატეგიული ჩარჩო-დოკუმენტი და არ აქვს სასურსათო უსაფრთხოების რისკების მართვის კოორდინირებული სისტემა.

ამდენად, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და ტექნიკური დახმარების მიღება, ისევე როგორც სასურსათო უსაფრთხოების გლობალურ დისკუსიაში ჩართვა, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი გამოწვევაა.

ძირითადი საერთაშორისო ფორუმი, რომელიც მსოფლიოში სასურსათო უსაფრთხოების საკითხებზე მუშაობს, გაეროს **„სასურსათო უსაფრთხოების კომისიაა“** (CFS - http://www.fao.org/cfs/cfs-home/en/). გაეროს „სასურსათო უსაფრთხოების კომისია“ წარმოადგენს ინკლუზიურ საერთაშორისო და სამთავრობოთაშორისო პლატფორმას, რომლის ფუნქციაა მსოფლიოში სასურსათო უსაფრთხოების და ნუტრიციის კუთხით არსებული მდგომარეობის მიმოხილვა და სარეკომენდაციო პოლიტიკის შემუშავება, კოორდინირებული ზრუნვა სასურსათო უსაფრთხოებისა და ნუტრიციის უზრუნველსაყოფად და როგორც მოკლევადიანი კრიზისების, ისე გრძელვადიანი სტრუქტურული საკითხების დასაძლევად.

გაეროს „სასურსათო უსაფრთხოების კომისია“ დამოუკიდებელი სტრუქტურაა და მასში თითოეულმა სახელმწიფომ თავად უნდა განაცხადოს მონაწილეობის სურვილი. დღეისათვის კომისიის წევრია გაეროს 139 ქვეყანა, მათ შორის, ევროკავშირის წევრი და საქართველოს მეზობელი ყველა სახელმწიფო. უნდა აღინიშნოს, რომ კომისიის წევრობა არ ითვალისწინებს წევრი სახელმწიფოების მხრიდან რაიმე სახის სავალდებულო გადასახადს.

სამწუხაროდ, საქართველო დღემდე არ არის გაეროს **„სასურსათო უსაფრთხოების კომისიის“** წევრი. ამის გამო, ჩვენი ქვეყანა მოკლებულია საშუალებას გახდეს სასურსათო უსაფრთხოებისა და ნუტრიციის რეგიონული და გლობალური სტრატეგიული ჩარჩო-დოკუმენტების

[1] *“ნუტრიციის მდგომარეობის ეროვნული კვლევა საქართველოსა და აზერბაიჯანში“, თბილისი, 2015; „ოქსფამ დიდი ბრიტანეთი“, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ - ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - „ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიის სრულყოფა და მცირე ფერმერების მხარდაჭერა სამხრეთ კავკასიაში“.*

შემუშავების პროცესების მონაწილე, მიიღოს ტექნიკური და ექსპერტული მხარდაჭერა, ჰქონდეს უახლეს ინფორმაციებზე ხელმისაწვდომობა და გაიზიაროს საუკეთესო გამოცდილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო სექტორი (აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრი 51 ორგანიზაცია) მიმართავს საქართველოს მთავრობას, განიხილოს საქართველოს გაეროს „სასურსათო უსაფრთხოების კომისიაში“ გაწევრიანების საკითხი, რაც დაეხმარება ქვეყანას შეიმუშაოს და დანერგოს ეფექტიანი სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკა.

ხელისმომწერ ორგანიზაციათა სია:

1. ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“
2. ლიბერალური აკადემია - თბილისი
3. კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN)
4. საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაციის “Mercy Corps” - ის წარმომადგენლობა საქართველოში
5. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
6. ანალიტიკური ცენტრი "მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის"
7. ფონდი ”სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი”
8. "მეწარმე ქალთა" ფონდი
9. ენერგოეფექტურობის ფონდი
10. დიდი ბრიტანეთის საქველმოქმედო ორგანიზაცია „OXFAM”- ის წარმომადგენლობა საქართველოში
11. საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია
12. ფონდი „ადგილის დედა“
13. სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბირო
14. ა/ო ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი
15. განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი
16. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო
17. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
18. ასოციაცია "მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია"
19. ასოციაცია „ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისათვის”
20. ახალგაზრდული ალტერნატივა
21. ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო
22. იგპ ქალთა ასოციაცია "თანხმობა" .
23. საზოგადოებრივი დამცველი- ირინა ფუტკარაძე
24. კვლევების ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხელშემწყობი საერთაშორისო ცენტრი
25. ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
26. ფონდი "კავკასიის ეკოლოგია"
27. საქართველოს ენერგო რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
28. საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი

29. საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
30. ევროპის ფონდი
31. ასოციაცია, სკოლა-ოჯახი-საზოგადოება.
32. გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრი
33. ასოციაცია"ქალი და ბიზნესი"
34. საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია
35. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
36. კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი "სოხუმი"
37. ა(ა)იპ "კავკასიური მოზაიკა“
38. რეპატრიანტთა კავშირი
39. ასოციაცია - საზოგადოება განვითარებისათვის
40. ა(ა)იპ "საერთაშორისო ბიზნესის განვითარების და ინვესტიციათა ხელშეწყობის ცენტრი"
41. ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი ქსელი
42. საქართველოს გეოსტრატეგიული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის კვლევების ინსტიტუტი
43. მეგობრობის ხიდი ქართლოსი
44. ადამიანის უფლებათა ცენტრი
45. ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“
46. დემოკრატიის ინსტიტუტი
47. ა(ა)იპ „საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი“
48. ასოციაცია "ტოლერანტი" სამცხე-ჯავახეთი
49. საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის
50. ქალები საუნივერსიტეტო განათლებით
51. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
52. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
53. არასამთავრობო ორგანიზაცია „ჯანმრთელი სამყარო“